№ 179 1877—1900 № 179

პარასკევი, 18 აგვისტო, 1900 წ.

# ივერია

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხ. გ. მავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

## ტფილისის საკომერციო სასწავლებელი

აცნობებს მშობლებსა და ოპეკუნებს, რომ ამ შემოდგომაზედ **მისაღები ეგზამენები** დანიშნულია სექტემბრის პირველ რიცხვებში, რაიცა ცალკე იქმნება გამოცხადებული გაზეთებში. (5—ნ.—1).

## აბრეშუმის ქსოვილები

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა.—**ცხვირსახოცები, შარფები,** თეთრი და ფერადი ქსოვილები **ქალისა და კაცის** ტანისამოსის ისე **სარჩულები**. აჭრევის როგორცაიაში ო იყიდება ქუთაისში, წერეთლიაბიო ნთსო და **საპირე**,ი გნის მალაზოფწოზით.

(50—ნ.—16) მმარ. ამხ. ნ. წერეთელი

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(ქუთაიში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ზ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაგანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ი. თ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. ქარაპეტიანცი** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

**ზ. ა. ნავასარდიანი.** 7½—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ლ. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსა დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памяти. Воронцову.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჯიჯინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**ზ. ზ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი,** კბილის სნეულებანი, 10—2—მდის.

**მ. ა. პოქროვსკი**—შინაგანი, ბავშვებისა, ბავშვებისათვის ყვავილის აცრა და ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი 10—11 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—11—12 საათ.

**ნ. ტ. მუღინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

**მ. ზ. წერეთელი,** 12—1 ს. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**მ. ლ. მარკევიჩი**—12½—1½ საათ. სადოსტაქრო.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—11½—12½ საათ.

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი—4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ტფილის, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი სარაჯიშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

## ქ-ნი ნასიძისა

კვლავინდებურად **იყვანს ბავშვებს** სხვა-და-სხვა **სასწავლებლისათვის**

**მოსამზადებლად.**

ადრესი: ხანდრევის ქუჩა, № 23.

(6—158—1)

## ქალების პროგიმნაზია

ელენე ბახტაძისა

## დ. ხონში

ამით აცხადებს, რომ მოსწავლეთა მიღება უმცროს და უფროს მოსამზადებელ პირველ პროგიმნაზიულ და აგრეთვე წელს გახსნილ მეორე პროგიმნაზიულ კლასებში დაიწყება 20 აგვისტოდგან და გაგრძელდება მთელ წლის განმავლობაში. თხოვნები უნდა გამოგზავნონ პროგიმნაზიის უფროსის—ელენე ბახტაძის სახელობაზე. სწავლის საფასური როგორც მოსამზადებელ, ისე პროგიმნაზიულ კლასებში 30 მანეთია წელიწადში.

## ახალი ამბავი

*** გუშინ, 17 აგვისტოს, პეტერბურგიდგან ცნობა მოვიდა საქართველოს ეგზარხოსის, მისის მაღალყოვლად უსამღვდელოესობის ფლაბიანესაგან, რომ უწმიდესის სინოდის მიერ იმერეთის ეპისკოპოსად დანიშნულ იქმნა გორის ეპისკოპოსი, ყოვლად უსამღვდელოესი ლეონიდი, ხოლო გორის ეპისკოპოსად და ქართლ-კახეთის ეპარქიის პირველ ვიკარად—ალავერდის ეპისკოპოსი კირიონი.

*** ამ დღეებში მიწად-მოქმედების დეპარტამენტმა კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას ცნობები მოსთხოვა იმის შესახებ, თუ კავკასიის რომელს კუთხეში რა ჯიშის საქონელია გავრცელებული. ეს ცნობები მიწად-მოქმედების დეპარტამენტს იმისთვის დასჭირებია, რომ მას სხვა და სხვა მხრიდგან ეკითხებიან თურმე, რომელ ადგილას რა ჯიშის საშენებელი შინაური პირუტყვია გავრცელებული, რომ შევიძინოთო.

*** ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს განუცხადებია, რომ გუბერნიის თავად-აზნაურთა დეპუტატთა საკრებულოში მსახურთა ჯამაგირებისათვის საჭირო ფული თავისს დროზედა და საკმაოდ არ შეაქვთ ადგილობრივს სახაზინოებშიო. ამის გამო ტფილისის გუბერნატორის თანაშემწეობის აღმასრულებელი სწერს მაზრის უფროსებსა (გარდა ახალ-ციხისა და ახალ-ქალაქისა) და ტფილისის პოლიცმეისტერს ყოველივე ღონისძიება მიიღონ და რაც შეიძლება მალე წარადგინონ ის შეუტანელი გადასახადი, რომელიც თავად-აზნაურთა მამულებზეა დარჩენილი. ამასთანავე დასძენს გუბერნატორი, რომ პოლიციის პირდაპირი მოვალეობაა ეცადონ მემამულეებმა აღნიშნული გადასახადი დროზედ შემოიტანონ ხოლმეო.

*** ტფილისის სასულიერო სემინარიის განკარგულება მოუხდენია, რომ 1) სემინარიაში მოსწავლეთ საერო წოდებისათ სწავლის ფული წლიურად 40 მან. გარდიხადონ ხოლმე უთუოდ და 2) ყველამ, სასულიერო წოდებისა იქმნება იგი, თუ საეროსი, სემინარიაში შესვლისათანავე წარადგინონ ხოლმე მოწმობა იმის შესახებ, თუ რა შეძლებისანი არიან, რამდენი სულისაგან შესდგება მათი ოჯახი, აქვს თუ არა მამას რაიმე საკუთრება მამულად, თუ მხოლოდ ჯამაგირით აცხოვრებს ოჯახსა და სხ. პირველის წოდებისათასეთი მოწმობა ბლაღოჩინს უნდა გამოართვან, ხოლო მეორეთ—პოლიციას. დასასრულ, სემინარიის მთავრობა აცხადებს, რომ ამ 1900—1901 წ. სახელმწიფო ხარჯზედ დიდის სიფრთხილითა და მხოლოდ უკიდურესად გაჭირვებულთ მიიღებს და ამასთანავე სთხოვს სემინარიის იმ მოწაფეთ, რომელთაც წრეულს კენჭი უნდა ამოიღონ, დროზედ გამოითხოვონ სამხედრო საბჭრო საკრებულოდგან ნება-რთვა სწავლის განგრძობისა დასრულებამდე.

*** მომავალ 1901 წლის ქალაქის შემოსავალ-გასავლის პროექტის განხილვას ქალაქის გამგეობა 21 აგვისტოს შეუდგება.

*** ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებლის განკარგულებით, ტფილისის გუბერნიის საგლეხო საქმეთა საკრებულოს წევრი ბ-ნი ტირიუტინი ამ ჟამად ტფილისის სახლოსნო გამგეობასა და სხვა სახლოსნო დაწესებულებათ რევიზიას უშვრება.

## ფელეტონი

### „—ნურც შენ და ნურც მე!.."

(ძნელად დასაჯერებელი, მაგრამ ნამდვილი ამბავი)

I

— მზე შენზედ ამომდის, ჩემო ყვლავ... უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლია... ან მომკალ ან დამარჩინე!.

ასე ემუდარებოდა იანი, ახალგაზდა მშვენიერი ყმაწვილი მარიკოს, თხუთმეტ-თექვსმეტის წლის ლამაზს, ცქრიალა გოგონას.

— ჰო, ჰო, ჰო!.. კი, კი, კი!.. მეც მიყვარხარ, მეც!.. მაგრამ...

ეს იყო მარიკოს პასუხი, ის არასოდეს სიტყვას არ ასრულებდა.

II

— ოხ, რა მშვენიერი ხარ, რა ეშხიანი ხარ, ჩემო გვრიტო, ჩემო გაზაფხულის წინამორბედო, ჩემო მერცხალო!.. შენა ხარ ჩემი ღვთაება... სასოება... სიცოცხლე... ოღონდ გიყვარდე და...

ასე ეტრფიალებოდა კიჩო, ახალგაზდა, ლამაზი ყმაწვილი იმავე მარიკას, მკვირცხლსა და დაუდეგარს გოგონას.

— ჰო, ჰო, ჰო!.. კი, კი, კი!.. მეც მიყვარხარ, მეც მაგრამ...

არც აქ ათავებდა მარიკა თავისს სიტყვას.

იანი და კოჩო-კი მისთვის გიჟდებოდნენ.

III

მარიკას ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავდა, მხოლოდ ყველაზედ მეტად თავს ევლებოდნენ იანი და კოჩო. ეს ყმაწვილები ყოველ ცის-მარე დღეს ჰხედავდნენ მარიკას, მისთვის სცოცხლობდნენ, მისთვის სულდგმულობდნენ, მარიკას-კი სულ სხვა სურვილი ჰკლავდა. მას სწყუროდა გამხდარიყო რომანის გმირად. „თუ დუელები არ მოხდა ჩემთვის, თუ რამდენიმე ყმაწვილი არ შევსწირე ჩემს საუცხოვო სილამაზეს, მაშ რა ქალი ვყოფილვარო", ამბობდა იგი გუნებაში და ისე მტკიცედაც, რომ მისი გადათქმა შეუძლებელი იყო.

IV

იანი და კოჩო გულწრფელნი და უანგარო, პატიოსანი არშიყები იყვნენ, ახოვანნი, მტკიცე ხასიათისანი და გამბედავნი, მხოლოდ ჩვილნი გამოცდილებით. მარიკა-კი მშვენიერი ტკბილ-მოუბარი და იეთი მომხიბლავისა და მომჯადოებელის სახისა იყო, რომ ძნელად თუ ვინმე გაუძლებდა მისს ერთს შეხედვასაც-კი და გული სამუდამოდ არ დაეტყვევებოდა.

მარიკამ მთელი წელი ისე მოხერხებულად და იეთის ოსტატობით ატარა იანი და კოჩო საარშიყო პაიმნებზედ, რომ ერთმა მეორისა არა იცოდა რა, თუმცა იანი და კოჩო დიდი მეგობრები იყვნენ და თითქმის ერთად აღზრდილნი. სიყვარულს რა არ შეუძლიან?!.

V

მარიკა დაინიშნა. მისი საქმრო, რომელიც მას დედ-მამამ ამოურჩიეს, მშვენიერი ახალ-გაზდა ყმაწვილი და მარიკასავით მდიდარი და სახელოვანი დედ-მამის პირმშო ვაჟი იყო.

იმ დღესვე, როცა მარიკამ ნიშნობის ბეჭედი მიიღო, ჩვეულებრივ დროს, საღამოს, თავის დედ-მამის ყვავილოვანს ბაღში ჰნახა ჯერ იანი და შემდეგ—კოჩო. სასიძო პანდელი ამ დროს მარიკას დედ-მამასთან იჯდა და მომავალის იმედით სტკბებოდა.

— დედ-მამა, ჩემდა უნებურად, პანდელს მაძლევს, აი ნიშნობის ბეჭედიც და ეხლა-კი შენ იცი! ასე უთხრა თითოეულს მარიკამ და თავისებურის, ეშხით სავსე დამწველის თვალებით გაისტუმრა ჯერ ერთი და მერე მეორე.

VI

არ გაუვლია ერთ კვირას, რომ პანდელი მოკლული ნახეს დუელში, როგორც ეს აღმოაჩინა მისს ჯიბეში ნაპოვნმა მისმა წერილმა: „არავის დააბრალოთ, მე თითონ ვიყავ თანახმა", მხოლოდ რისთვის, ან ვისთან, ეს-კი საიდუმლოდ დარჩა, რადგან სადაც ეს ამბავი მოხდა, იმ ქვეყანაში დუელი, ეს ერთად-ერთი საშუალება ზოგიერთ შემთხვევაში კაცის პატიოსნების დასაცველად, სასტიკად აღკრძალულია.

— ეს ერთიო, სთქვა მარიკამ გუნებაში მედიდურად და სიამოვნებით გადისვა თავისს მშვენიერს შუბლზედ ხელი.

VII

— ოჰ!.. შენ გენაცვალე, შენ!.. ჩემო უკვდავებავ!... მიეამბორა გამარჯვებული იანი მარიკას... გადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

*** ტფილისის ბოტანიკურ ბაღის კოჯრის გზასთან შესაერთებლად დაბახანის ხევზედ ხიდის გადებას უკვე შეუდგნენ. როგორც ფიქრობენ, ხიდი ამ წლის დამლევს უთუოდ მზად თურმე იქმნება.

*** ჯალალ-ოღლიდგან იწერებიან, რომ აგერ გაზაფხულიდგან აქნობამდე მოკიდებული გაბმითა წვიმს და ატალახებს აქაურობასო. ჯერ გათიბული თივა ჩაულპა ხალხს მინდვრადა და ახლა იგივე პურსა და ქერს ემართებაო. ამ გვარის ამინდების გამო, ეჭვი არ არის, კართოფილსაც ვერაფერი მოსავალი ექნებაო.

*** ივლისის განმავლობაში წყალში დარჩობისაგან გადურჩენიათ ტფილისში სულ 8 კაცი, ხოლო დამრჩვალა 5.

*** როგორცა გვწერენ, გაბრიელ ეპისკოპოსის სახელზედ ქუთაისში არსებულ დედათა სასწავლებელში ამ წელს მეოთხე კლასი თურმე გაიხსნება უთუოდ, თუ აღნიშნულს კლასში შემსვლელთა რიცხვი 12-ზედ ნაკლები არ იქნება.

*** თანახმად კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის შუამდგომლობისა, კავკასიის უმაღლესს მთავრობას ნება დაურთავს, რომ მეჯვრის-ხევის ორ-კლასიან სასწავლებელთან ეგრედ წოდებულ სასწავლებლის საპატიო მზრუნველის თანამდებობა იქმნეს დაწესებული.

*** როგორც ყარსის ოლქიდგან იწერებიან, წელს იქით კარგს მოსავალს თურმე მოელიან. თიბვა უკვე დასრულდა და კარგა ბლომადაც მოვიდაო თივა.

*** როგორც იუწყებიან, ზაქათალაში ყურძენი უკვე დამწიფებულა, მაგრამ ხშირმა წვიმებმა ავნო და მოსავალიც უთუოდ ცუდი იქმნება.

*** როგორც კარდანახიდგან იწერებიან, ხალხი დიდად გაჭირვებული თურმეა იმის გამო, რომ მომკილი და მზად მოტანილი მოსავალი ვეღარ გაულეწია: კვირაში რომ ორ დღეს კარგი დარია, სამაგიეროდ ოთხსა წვიმს და ხალხი გულ-ხელდაკრებილი შეჰყურებს ცას,—აცა როდის ვეღირსებით ამინდსო.

*** როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები იწერებიან, განზრახვა თურმე აქვთ ქ. სარატოვში სრულიად რუსეთის მებაღეობის გამოფენა გამართონ. ასეთს გამოფენას რუსეთის ბაღოსნობის საიმპერატორო საზოგადოება ყოველს 2—3 წელიწადში ერთხელა მართავს და შემდეგი გამოფენა მოხდება მოსკოვსა, ნიჟნი-ნოვგოროდსა, ვორონეჟსა, ორიოლსა, კიევსა, ვილნოსა, ხარკოვსა, სიმფეროპოლში და სხ.

*** ოთხშაბათს, 16 აგვისტოს, ქალაქის გამგეობის უკანასკნელს სხდომაზედ გამგეობის წევრმა თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვმა განცხადება წარადგინა იმის შესახებ, რომ მას გამგეობის წევრის თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილთან ერთად დაუთვალიერებია ინჟინერ ლალაიანცის სახლი ნიკოლოოზისა და მელიქოვის ქუჩის კუთხეში, რომელშიაც გამგეობას განიზრახავს მოათავსოს ქალაქის გასანათებლად კანტორა, სახელოსნო და მისი საწყობი და აგრეთვე წყლის მილის სახელოსნო, იქ მოსამსახურეებისა და ქალაქის მუშათა რაზმისათვის კანტორა. სახლის პატრონი ლალაიანცი სახლს უთმობს მხოლოდ შემდეგის პირობებით: 1) უნდა შეეკრას მას ქალაქი პირობით სამის წლის ვადით; 2) სახლის ქირა, 1670 მან., ერთის წლისა ადრევე უნდა მიიღოს; 3) წყალი ქალაქის ხარჯით იქმნება გაყვანილი, 4) ეზოსა და ქუჩის დასუფთავება ქალაქმა უნდა თავისს თავზედ მიიღოს, 5) სახლის პატრონმა უნდა შეაკეთოს სახლი და 6) ხარჯი ხელშეკრულებისა უნდა მიიღოს ქალაქმა. ქალაქის გამგეობამ, მიიღო რა სახეში ის გარემოება, რომ ეს სახლი საკმარისი იქნება ყველა ზემორე აღნიშნულ დაწესებულებათა მოსათავსებლად და აგრეთვე ის, რომ ქალაქი ამ ჟამად ქალაქის განათების კანტორისათვის შენობის ქირად 750 მ. იხდის, ხოლო წყლის მილის სახელოსნოსათვის 800 მან. და 240 მან. ამ სახელოსნოს მოლარეს ბინის ქირადა, დაადგინა, რომ ინჟინერის ლალაიანცის სახლი დაიქირავოს და ამასთანავე დაავალოს ქალაქის გამგეობის წევრს თავ. არღუთინსკი-დოლგორუკოვს მოელაპარაკოს ლალაიანცს, რომ მან სახლის ქირას 120 მან. დაუკლოს და ხელ შეკრულება 4 წლის ვადით დაიდოს.

*** ახალ ვაგონებს, რომლებიც რკინის გზებზედ უნდა შემოიღონ, სიჩქარის მზომელი მანქანები ექმნებათ ახალის სისტემისა; ამ მანქანის საშუალებით მემანქანეს კანტროლი ადვილი შესაძლებელი იქმნება. ეს კანტროლი გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ მემანქანეები ხშირად ჩქარობენ და ამას უბედურება მოსდევს ხოლმე.

*** გზათა სამინისტრომ საჭიროდ სცნო ნავთ-სადგურებზედ განსაკუთრებული შენობები მოაწყოს მგზავრთათვის.

*** მიმდინარე წლის შემოდგომაზედ გზათა სამინისტრო ადგილობრივ რკინის გზათა სამმართველოების შტატების შედგენას შეუდგება.

*** მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებული ი. ს. მედვედევი ამ თვის გასულს სოხუმს წავა, რომ აქ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრს ერმოლოვს შეეგებოს. მინისტრს აზრადა აქვს შავის ზღვის პირი დაათვალიეროს.

*** საზოგადო განვითარების კურსების ზოგიერთს ლექტორს ამ სამოსწავლო წლისთვის პროგრამმა უკვე შეუმუშავებია და, სადაც ჯერ არს, წარუდგენია დასამტკიცებლად.

*** საერო სასწავლებლების დირექციის თხოვნისამებრ ქალაქის გამგეობას განკარგულება მოუხდენია, რომ საერო განათლების მინისტრის განკარგულების თანახმად, კუკიის სკოლას ვ. გ. ბელინსკის სახელი ეწოდოს.

*** რუსეთის რკინის გზებზედ მგზავრთა სწრაფადა და დაუბრკოლებრივ სამოგზაუროდ გზათა სამინისტროს განზრახვა თურმე აქვს ვაგონების რიცხვს მოუმატოს.

*** ჟანდარმთა გორის განყოფილების უფროსის სმოლენსკის ადგილზედ, რომელიც ლუგანსკში იქმნა გადაყვანილი, მ. ა. რედროვი თურმეა დანიშნული.

*** ქალაქის გამგეობის სხდომაზედ, 16 აგვისტოს, ბ-ნმა მ. ს. შესტაკოვმა წარადგინა თხოვნები ტფილისის რეალურ სასწავლებელში სწავლა დასრულებულ მოსეს არუთინოვისა და სხვა უმაღლესს სასწავლებლის მოსწავლეებისა, რომელნიც სთხოვენ ქალაქის გამგეობას ფულად შემწეობას; ამასთან ვე ბ-ნმა შესტაკოვმა აღძრა ლაპარაკი იმას შესახებ, რომ ქალაქისაგან ფულად შემწეობა უნდა ეძლეოდეს მხოლოდ იმ უმაღლეს სასწავლებლების მოსწავლეთ, რომელნიც ეკუთვნიან ქალაქის მკვიდრ მცხოვრებთ, რადგანაც საქალაქო დებულების 1 მუხ. თანახმად, ქალაქი უნდა ზრუნავდეს მხოლოდ ადგილობრივ საჭიროებათათვის. ქალაქის გამგეობამ, მიიღო რა სახეში ის გარემოება, რომ მოსეს არუთინოვი უმაღლესის სასწავლებლის მოსწავლეა და ამასთანავე ის, რომ გამგეობის 15 დეკემბრის 1896 წლის დადგენილებაში არ არის ნათქვამი, შემწეობა მხოლოდ ტფილისის მკვიდრთ მიეცეთო, და მხოლოდ ის პირობაა დადებული, რომ შემწეობა უმაღლესს სასწავლებლებში შემსვლელთ უნდა მიეცესო, დაადგინა: 1) მისცეს 200 მან. მოსეს არუთინოვს, თუმცა ტფილისის მკვიდრი მცხოვრები არ არის, და 2) გამოეცხადოს დანარჩენს მთხოვნელთ, რომ მათი თხოვნები განხილულ იქმნება გამგეობის მიერ მხოლოდ მაშინ, როცა იგინი გამგეობას მოწმობას წარმოუდგენენ, რომ უკვე სწავლობენ უმაღლესს სასწავლებლებში.

*** დ. ოჩამჩირე (აფხაზეთი). 7 აგვისტოს აქაურმა სცენის მოყვარეებმა ითამაშეს გ. გუნიას 5 მოქ. დრამა „და-ძმა“ და დასასრულ რუსულს ენაზედ 1 მოქ. ვოდევილი „Черезъ двѣсти лѣтъ“. მონაწილეობას იღებდნენ: ქ-ნნი მაკრინე და მაშო თურქიანი, სოფიო №., თავ. კოტე და ვლადიმერ აბაშიძენი, გრიგოლი ზოხუბაია, გ. გაშარავა, ნ. მდივანი, ის. ცხაკაია, პ. შეიშვილი, გ-ია და სხვ. საერთოდ წარმოდგენამ მშვენივრად ჩაიარა. გაიოზის როლს ასრულებდა თავ. კოტე აბაშიძე, მარინესას—მაკრინემ თურქიას და ოტია ჟორდანიასას—გ. გაშარავამ, რომელთაც, განსაკუთრებით მარინემ და ქაიოზმა, მშვენივრად ჩაატარეს თავიანთი როლი. დანარჩენებმაც საკმაოდ კარგად ითამაშეს. წარმოდგენას საზოგადოება ბლომად დაესწრო, თვით ახლო-მახლო სოფლებიდგანაც კი, და დიდად მადლიერი ღამის 1 საათზედ დაიშალა. წმინდა შემოსავალი (ხარჯს გარდა) 120 მან. მეტი დარჩა, რომელიც გარდაეცა ერთს ღარიბს მოსწავლეს, რომლის სასარგებლოდაც იყო გამართული წარმოდგენა. დიდის მადლობის ღირსნი არიან ამ წარმოდგენის მოთავენი, რომლებმაც, იმას გარდა, რომ ღარიბს მოსწავლეს დახმარება აღმოუჩინეს, საზოგადოებასაც საშუალება მისცეს ეს ღამე ჩვეულებრივზედ გონივრულად გაეტარებინა.

*** პოლიციის მე-10 ნაწილში მცხოვრებმა გორის მაზრის გლეხმა ვლადიმირ დედანოვმა განუცხადა ტფილისის პოლიცმეისტრის თანამდებობის აღმასრულებელს, რომ მისი 17 წლის შვილი ზაქარია, რკინის გზის სასწავლებლის მოწაფე, სადღაც წავიდა და აგერ რამდენიმე დღეა უკან აღარ დაბრუნებულაო. ასევე განაცხადა პოლიციის მე-3 ნაწილში მცხოვრებმა ეკატერინე მარინინისამ, რომ მისი 17 წლის შვილი პეტრე სახლიდგან სადღაც გავიდა და აღარ დაბრუნებულაო. ამის გამო პოლიცმეისტრის თანამდებობის აღმასრულებელმა მიწერილობა გაუგზავნა პოლიციის ყველა ბოქაულებს, დაკარგულნი დაუყოვნებლივ მოსძებნონ ყველგან.

## ხმა პროვინციიდგან.

იმ დროს, როდესაც სწავლა-განათლების გზაზედ კუს ნაბიჯით მივცოცავთ, როცა საზოგადოდ ჩვენი გონებრივი ავლა-დიდება და კერძოდ ქალთა განათლების საქმე ასეთს არასასიამოვნო სურათს წარმოადგენს ჩვენში,—მეტად სასიხარულო, სულისა და გულის აღმტაც მოვლენად უნდა ჩაითვალოს ჩვენ შორის ყოველი ისეთი ნაბიჯი, ცდა და მოქმედება, რომელიც დედათა განათლების საქმისკენ არის მიმართული. თუ სწავლა-განათლება საზოგადოდ ყველასათვის აუცილებელს საჭიროებას შეადგენს, მით უმეტეს საჭიროა ამ იარაღით აღჭურვა ქალთათვის, რომ ამ უკანასკნელთაც თამამად შეეძლოთ პირსა და ლხინში მტკიცედ ამოუდგნენ მამაკაცებს მხარში, გაამხნევონ იგინი, შეუმსუბუქონ მათ ცხოვრებასთან მწვავე ბრძოლა და თავისის სწავლითა და ცოდნით მამაკაცებთან ერთად ცოტა რამ წვლილი შეიტანონ საქვეყნო და დაჩაგრულ მოძმეთა საქმეში. მაგრამ თუ დღეს ჩვენს ქვეყანაში სადმეა საჭირო დედათა განათლების გავრცელება, ეს აუცილებლად ყველაზედ უფრო საჭიროა ზუგდიდის მაზრაში. არც ერთი დედათა სასწავლებელი არ მოიძებნება. და აი იმ დროს, როცა ჩვენი ქალიშვილების მომავალი ღვთის ანაბარად არის მიტოვებული, როცა იმათი აღზრდა ზოგიერთას სრულიად უსარგებლოდ მიაჩნია, არ შეგვიძლიან მივეგებნეთ იმ გარემოებას, რომ დ. ზუგდიდში სამაგალითო დედათა სასწავლებელი იქმნა გახსნილი. საქმე იმაში გახლავთ, რომ შარშან, მკათათვის გასულს, გურია-სამეგრელოს

---

ლოშნეს ერთმანერთი.

სურნელოვან საუცხოვო ბაღში, ღამე, ახლად აღყვავებულ ნორჩ აკაციებს ქვეშ დადგმულ სკამზედ ისხდნენ სულ-განაბულნი მარიკა და იანი და ერთმანეთს ეტკბებოდნენ... გრილი მაისის ბინდი-კი ოდნავ არხევდა გარშემო გადაფურჩქვნილს ხეხილნარს და უტკბობდა შეყვარებულთ მომავლის იმედს. ნეტავი თქვენ, ბედნიერნო! ამ დროს პანდელის დედ-მამას თავისი პირმშო შვილი კუბოში ესვენათ და თავს დასტიროდნენ თავიანთ უკანასკნელს სასოებას.

— ოღონდ გიყვარდე... გიყვარდე!.. კანკალით უთხრა იანიმ მარიკას განშორების დროს.

— კი, კი!.. ჰო, ჰო!.. მარიკას პასუხი ეს იყო.

### VIII

დიდხანს არ გაუვლია. მარიკას კიდევ მიართვეს ნიშნობის ბეჭედი. „ეხლა-კი რიგი შენია,—უთხრა თავისს თავს კოჩომ,—უნდა დაუმტკიცო ჩემს მარიკას ჩემი ვაჟკაცობა, ქვასავით მაწვა გულზედ მისი სიტყვები „მოგასწრესო“.

მეორე დღესვე საბრალო ფოტი, მეორე საქმრო მარიკასი ყელ-გამოჭრილი იპოვნეს მისის მამის საზაფხულოდ, ზღვის პირად აგებულს კოშკში.

— ეს მეორე,—სთქვა მარიკამ: აფერუმ ჩემს სილამაზეს!.. მაგრამ მეკი ტყვე ვარ და... დასძინა მან ნაღვლიანად, თითქო მისმა უმანკო გულმა რაღაც დააყვედრაო. მართლმსაჯულება-კი დამნაშავეს ეძებდა.

### IX

— ეხლა? ეხლა ხომ ჩემი ხარ?.. ჩემო გვრიტო... შენთვის გინდ ასს სიკვდილსაც კი დავუდგები წინ... ოღონდ... ოღონდ... ჩაუვარდა მარიკას ფეხებ ქვეშ კოჩო. ოღონდ ჩემი მარძანებელი იყავი... გადაუხვია... ან ჩემი უნდა იყო, და ან სიკვდილი, სიკვდილი!..,—დაჩოქილი და გულზედ ხელებ-დაკრებილი შეჰღაღადებდა იანი: შემიბრალე!.. შენთვის მზად ვარ ჯოჯოხეთსაც შევება!..

ამ დროს სტრატი, მარიკას სასახლის მოსამსახურე, ამაყი, ურცხვი და მიუკარებელი ახალგაზდა იქვე მოფარებულად იჯდა ხის ძირში და გულიანად იცინოდა. „საბრალონი!— სთქვა მან ბოლოს—ვედრებითა და ხვეწნით უნდათ მოალბონ ქალის გული“.

— კი, კი, ჰო, ჰო!.. მაგრამ რომელ ერთს?!. უთხრა მარიკამ კოჩოს და ცრემლით სავსე თვალებით გაისტუმრა.

საიდუმლო გამჟღავნდა.

### X

მეორე დღეს, მარიკასგნით დანიშნულ დროს, ორივენი, კოჩო და იანი, იქ იყვნენ, მხოლოდ მარიკა არ მოვიდა.

— რომელ ერთს, რომელ ერთს... მოესმა მათ საიდგანღაც ნელი ხმა.

— ოჰ,—დაიძახეს ორივემ ერთად: სწორედ ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვები.

— ამიტომაც ვეღარ მოდის,— სთქვა იანიმ.

— რა ჰქნას, როგორ უნდა მოიქცეს, საწყალი,—დასძინა კოჩომ...

— ჯერ სრულიად ბავშვია... ოჰ... უბედურებავ... რა ვქნათ?

— მოდი წილი ვყაროთ, სთქვა კოჩომ.

— არა, არ შემიძლიან;—მიუგო იანიმ.

— მაშ, ვიომოთ და ვინც ცოცხალი გადარჩება, ის იყოს ბედნიერი.

— კანონი?—სთქვა იანიმ: ყოველთვის არ შეგვარჩება.

სიჩუმე ჩამოვარდა.

— გადავკოცნოთ ერთმანერთი,— სთქვა კაი ხნის სიჩუმის შემდეგ კოჩომ „ნურც შენ და ნურც მე“!

გადაეხვივნენ ერთმანეთს. და რამდენისამე წამის შემდეგ ერთბაშად იგრიალა ორივე ძმობილების ხელში რევოლვერებმა და იქვე, იმ საუცხოო ბაღში, რომლის ყვავილთა სურნელოვანებას არა ერთხელ და ორჯელ დაეტკბო შეყვარებულთა ყოვლად აღფრთოვანებულის მომავლის იმედით, ეხლა უსულო მძოვრად ეგდო იმათი დასახიჩრებული გვამები.

მშვენიერი მარიკა-კი ამ დროს ინგლისის გემის საუცხოვოდ მოწყობილს პირველ კლასის დარბაზში იყო, ხავერდის რბილ მდივანზედ, მხარ-თეძოზედ ოდნავ წამოწოლილი თავის მბრძანებელ სტრატიასთან და ნეაპოლისკენ მიემგზავრებოდა. მარიკას დედ-მამა გონს მაშინ მოვიდა, როდესაც თავიანთი ხაზინა ცარიელი დახვდათ.

— აჩქარდით, თორემ მეტს ვერ სიამოვნებდით!—უთხრა მარიკამ თავისს საყვარელ სტრატის, როცა ამბავი მოუვიდათ, რომ კოჩომ და იანიმ თავი მოიკლესო.

იასე რაჭველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამრეწველო სკოლების საეპარქიო საბჭოს ზუგდიდის სამაზრო განყოფილებას შუამდგომლობა აღუძრავს სათანადო მთავრობასთან, რომ ზუგდიდის მაზრის სამღვდელოებისთვის ნება დაერთოთ დ. ზუგდიდში მეორე კლასიანი სამასწავლებლო კურსითა და სამეურნეო განყოფილებით სანიმუშო სამრეწველო დედათა სასწავლებელი გაეხსნათ. ზუგდიდის მაზრის სამღვდელოებას შარშანდელს საგანგებო კრებაზედ ერთხმად დაუდგენია: მომავალ სასწავლებლის უშემწეო ქალთათვის პანსიონის შესანახავად 1200 მ. გაიღოს ყოველ წლივ და დანარჩენში შემწეობა სთხოვოს მთავრობასა და საზოგადოებას. ამ კეთილს საქმეს ზუგდიდელთა შორის დიდი თანაგრძნობა გამოუწვევია: აუარებელი მთხოვნელები მიაწყდა თურმე დროებით დაქირავებულ სასკოლო სადგომს; დაუქირავებიათ მასწავლებლები და სწავლაც გაჩაღებულა. ჩვენდა სასიამოვნოდ ამ საქმისადმი დიდად გულ-შემატკივრობა აღმოუჩენია მისს უმაღლესობასაც პრინცესსა სალომე მიურატისას, რომელსაც კეთილუნებებია და სამის წლით სადგომი სკოლისთვის უფასოდ დაუთმია, სამი ქცევა საუკეთესო მიწისა ქალაქში სკოლისთვის უჩუქებია და ყოველს შემთხვევაში დიდად დახმარებას დაჰპირებია.

დღეს სამასწავლებლო რჩევის თავმჯდომარემ, მამა ი. ბობოხიძემ, რომელიც სხვებთან ერთად თავს სწირავს ზემო ხსენებულ საქმის განხორციელებას, განაცხადა, რომ სკოლის გახსნის ნებართვა უკვე მიღებულია; მთავრობა 17 ათას მანეთს გვპირდება სასკოლე შენობის ასაგებად, თუ კი კიდევ საჭირო ხუთ ათას მანეთს სამღვდელოება და მცხოვრებნი იკისრებენო. რა თქმა უნდა, ამ ამბავმა ზუგდიდლები დიდად გაახარა.

მართლაც, როგორ არ არის სასიამოვნო ისეთის სასწავლებლის გახსნა, რომელსაც, სხვათა შორის, უმთავრეს მიზნად ექნება მომავალნი დედანი აღზარდოს კეთილ-ზნეობისა და სარწმუნოების გავლენის ქვეშ. ასეთი აღზრდა-განათლება ჩვენის ქალიშვილებისა მეტად საჭიროა იმ დროს, როცა კეთილ-ზნეობა და სარწმუნოება შესამჩნევად სუსტდება და ეცემა ჩვენში.

ჩვენი შინაური თუ საზოგადოებრივი კეთილ-დღეობა დამოკიდებულია იმისგან, თუ გონებრივ განვითარებასთან ერთად რაზომ კეთილზნეობრივი განათლება მიუღია მომეტებულს ნაწილს ჩვენის დედებისა. მეცნიერებამ ცხად ჭეშმარიტად აღიარა, რომ მშობელთა ყოველი ზნე ხასიათი, ასე თუ ისე, დედის ძუძუსთან ერთად შვილზედ დედისაგან უფრო გადადის, ვინემ მამისაგან. ამიტომ თუ გვსურს სამშობლოსა და ოჯახის ბედნიერება-კეთილდღეობას სასურველი ნიადაგი დავუმზადოთ, უნდა ვეცადნეთ კარგი დედები აღვზარდოთ. მხოლოდ გონებრივად და ზნეობრივად კარგად აღზრდილ-განათლებული დედები შეადგენენ ოჯახისა და საზოგადოების მტკიცე ბურჯს, მხოლოდ „კარგი დედები“ შესძენენ მამულს „კარგს შვილებსა“! ამ აზრით სოფლებსა და დაბებში უფრო სასურველია გავრცელდეს რიგიანად მოწყობილი დედათა სასწავლებლები სამეურნეო განყოფილებითა.

ზემოდ აღნიშნულ სკოლის გახსნისა გამო იმ ფულის გაღება, რომელსაც მთავრობა თხოულობს, ზუგდიდის მაზრის სამღვდელოებას თავისთავად მარტო როდი ძალუძს! მისდა სასიქადულოდ ეგ სამღვდელოება თუმცა თავ-გამოდებით იღვწის სწავლა-განათლების გავრცელებისათვის, მაგრამ ნივთიერად იგი დღეს იმდენად ულონოა და მრავალ მოთხოვნილებათა გამო იმდენად შეწუხებული, რომ ხსენებულ 5000 მანეთის გაღება მეტად უძნელს. ამიტომ ჩვენ ყველანი: ვაჭარი თუ მოხელე, გლეხი თუ თავადი, მღვდელი თუ ბერი, წოდებისა განურჩევლად, ვისაც ჩვენის ქალიშვილების მომავალი გვაინტერესებს, მოვალენი ვართ სამღვდელოებას ძმურად ხელი მივსცეთ, ამოვუდგეთ მხარში და ამ ფრიად საკეთილო საქმეს ღირსეულად გავუძღვეთ ბოლომდე! ჩვენი პატივცემული თავად-აზნაურობა, რა თქმა უნდა, როგორც ყოველთვის სხვა საშვილიშვილო საქმეებში, ამ საქმეშიაც ჩვეულებრივ უთუოდ გულ-მხურვალე მონაწილეობას მიიღებს.

არა ნაკლებ ზუგდიდის მაზრისა უნდა ესიამოვნოს მეორე კლასიან სამასწავლებლო კურსით დედათა სასწავლებლის გახსნა დ. ზუგდიდში ჩვენს მოსაზღვრე სამურზაყანოს თავად-აზნაურობა-სამღვდელოებას, მით უმეტეს, რომ ამ მოკლე ხანში სამურზაყანოს ოდიშს შემოუერთებენ და მასთან იქნება დაკავშირებული ჭირსა და ლხინში. სამურზაყანოელნი იგივ ქართველები, ჩვენი ძმები არიან, იმათ ქალიშვილთათვისაც ეგ სკოლა, სადაც სხვა საგანთა შორის ქართულს ენას დიდი ალაგი ექნება დათმობილი, მეტად საჭირო და ხელ მისაწვდომი იქნება. ამიტომ იმედია, სამურზაყანოელნიც გულ-გრილად არ შეხედავენ ჩვენს ძმურს მოწოდებასა და შეძლებისა და გვარად დახმარებას აღმოგვიჩენენ სკოლის გახსნა-მოწყობის საქმეში! აგრეთვე დიდად მოიმედენი ვართ მისის უმაღლესობის პრინცესსა მიურატისა, რომელიც დახმარებას გულწრფელად აღმოგვიჩენს. ჩვენ ის მიგვაჩნია სასიქადულოდ, რომ მისს უმაღლესობასაც, როგორც მისს სახელოვან მშობელსა, სამეგრელოს მთავარს დავით დადიანსა, თავისს საყვარელ მამულისთვის დიდად გული შესტკივა და ამ მამულის აღორძინება-წარმატების საქმე სულსა და გულს უხარებს მას.

მიხაკო ვერმიშანაშვილი

# უცხოეთი

—

**ჩინეთი.** ჩინეთში მომხდარმა ამბებმა ძალიან შეაშინა და შეაფიქრიანა ციმბირში მცხოვრები ჩინელები. განსაკუთრებით ძალიან შეშინდნენ ვლადივოსტოკელი ჩინელები. უმრავლესობას ეგონა და ჰგონია თურმე, რომ რუსები არ მოგვითმენენ და სამაგიეროს გადაგვიხდიან, ამოგვწყვეტენო. ვლადივოსტოკში მრავალ ჩინელს მიუნებებია თავი ვაჭრობისათვის და ყოველგვარ საქმისათვის, გაუყიდნია საქონელი და ჩინეთისაკენ გასდგომია გზას. ჩინელ მუშებსაც ხელი აუღიათ მუშაობაზედ. თუმცა ქალაქში სამხედრო გუბერნატორის განცხადება გაუკრავთ, რომ ჩინელებს არავითარი შიში არ მოელით, მაგრამ ისინი მაინც არ იჯერებენ და ჩინეთისაკენ გარბიან.

„Times“-ის კორესპონდენტს ხელთ ჩაუვარდნია იუნგ ლუს წერილი, განსვენებულ ჯარის უფროსთან ტუნფუსიანთან გაგზავნილი. აი რასა სწერდა თურმე იუნგ-ლუ: „მე ვიცი, რომ თქვენ პატრიოტი ხართ. ამ ბოლოს დროს უცხო-ქვეყნელთ ქაჯები აღარ გვერიდებიან და ყოველ საშუალებას ხმარობენ ჩვენ გასამარცხებლად, ჩვენის ავლა-დიდების ხელში ჩასაგდებად. მათი თავხედობა ამ შემთხვევაში განუზომელია. სამწუხაროდ, ზურგი ამ უცხო-ქვეყნელ ქაჯებს სამხედრო გემებითა და ზარბაზნებითა აქვთ გამაგრებული. იმათთვის საჭიროა ჩვენის ქონებისა და საქონლის გაზიდვა. რაც დრო და ხანი გადის, უცხო-ქვეყნელნი უფრო თამამად ეტანებიან ჩვენ სიმდიდრეს. მაგრამ ეხლა დროა ბოლო მოეღოს ამ თავხედობას. ამ ჟამად ჩინეთს ზარბაზნებიც აქვს, თოფებიც და მშვენივრად გაწვრთნილი ჯარიც ჰყავს. ეხლა აღარ მეშინიან უცხო-ქვეყნელებისა. თვით ჰხედავენ, რომ ჩვენ ამ ჟამად ძლიერი სამხედრო ძალა გვყავს. სან-მუნის საქმეში იტალიას შევუთვალე, არ აღვასრულებ თქვენ მოთხოვნილებასა-მეთქი, და იტალიამ ამაზედ ხმა ვერც-კი ამოიღო. უოკელს ეგეს გარეშე, რომ უცხო-ქვეყნელი ქაჯები მშიშრები არიან. პრინცის ტუანისა და ჩვენ მხარეს უთვალავი მოკრივენი არიან, რომელნიც უცხო-ქვეყნელთა გასაწყვეტად სიცოცხლეს არ დაზოგავენ. მე ფიცსა ვდებ, რომ არ დავინდობ არც ერთს უცხო-ქვეყნელ ქაჯს, ჩვენ მხარეს-კი მოკრივენი არიან, რომელთაც საომარ იარაღს დაურიგებთო“. ტუნგფუსიანს უპასუხნია, მეც ფიცსა ვდებ, რომ ამოვწყვეტ უცხო ქვეყნელთაო.

— როგორც ერთი ამერიკული გაზეთი იუწყება, პეკინში მყოფ ამერიკის ელჩს კონჯერს აი რა უთქვამს, როდესაც მოკავშირეთა ჯარი პეკინში შესულა: „დროზედ მოსწვდით! ჩინელებმა გუშინაც მოიტანეს იერიში და მოიწადინეს ჩვენი ხელთ ჩაგდება. ამ რამდენისამე დღის წინად უმაღლესის საბჭოს თავმჯდომარემ პრინცმა ჩინმა გვაცნობა, რომ ჯარისკაცებს და ჯარის-კაცებს გაუბრძანე თქვენ წინააღმდეგ სროლა მოსპონ; ვინც სროლას დაიწყებს, იმას სიკვდილით დავსჯითო. ასე დაგვამშვიდა პრინცმა, მაგრამ ამის და მიუხედავად გუშინ, საღამოს 7 საათზედ, ჯარმა ხელ-ახლა თოფები დაგვიშინა, და დილამდე სროლისათვის თავი არ დაუნებებიათ. თქვენ რომ დროზედ არ შემოსულიყავით, ჩინელები უეჭველად ამოგვწყვეტდნენ. ყველაფერში მთავრობაა დამნაშავე; ჯარი იმისის ბრძანებით გვესროდა თოფებს. ჩინეთის ჯარს აქ, პეკინში, იმპერატრიცას მახლობელი მრჩეველი უფროსობდა. 11 დღის განმავლობაში ჩინელებმა თავიანთის ზარბაზნებიდგან ჩვენ საელჩოებს 2000 ყუმბარა ესროლეს“. ელჩის სიტყვით, იმ რაზმიდგან, რომელიც საელჩოებს იცავდა, ჩინელებს მოუკლავთ 67, დაუჭრიათ 120 კაცი.

— როგორც ვუწყით, ამ რამდენისამე კვირის წინად გერმანიის იმპერატორი ვილჰელმი 1000 ტალერს დაჰპირდა იმას, ვინც პეკინში მომწყვდეულ გერმანელს ან უცხო ქვეყნელს გადაარჩენს და განთავისუფლებსო. უცხო-ქვეყნელნი მოკავშირეთა ჯარმა განთავისუფლა, ამიტომ გაზეთები, იგონებენ-რა იმპერატორის დაპირებას, ამბობენ, რომ საჩუქარი მოკავშირეთა ჯარს უნდა დაურიგდესო. ჯარმა სულ 800—900 კაცი გაანთავისუფლა, მაშასადამე იმპერატორმა 800—900,000 ტალერი უნდა გაიღოს (თითო კაცში 1000 ტალერი), ე. ი. ჩვენებურად 1,200,000—1,400,000 მანეთი. როგორც ამბობენ, თითო ჯარის-კაცს 100 მანეთი ერგება.

—

**ინგლის-ტრანსვაალის ომი.** ამ ბოლოს დროს სამზღვარ-გარეთ ბევრი გაზეთი უკმაყოფილებას უცხადებს ინგლისს და ამბობს, რომ ტრანსვაალში ინგლისელები სასტიკად მარტო ბურებს-კი არა, უცხო-ქვეყნელთაც ექცევიანო. „Frankf. Zeit.“-ის სიტყვით, ინგლისელები განსაკუთრებით ნემეცებს სდევნიან. ამას წინად, მაგალითად, უმიზეზოდ დაუპატიმრებიათ ათეულად ნამყოფი ნემეცი გენცი და იმის ამხანაგები და ყველანი ციხეში დაუმწყვდევიათ მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ნემეცების ჯიბეში რევოლვერი უნახავთ. ციხეები გაჭედილია თურმე უცხო-ქვეყნელებით. ამ უცხო-ქვეყნელებს ბრძოლაში მონაწილეობა სულ არ მიუღიათ, ინგლისელებმა მხოლოდ ეჭვი მიიტანეს, ბურებსა ჰშველიანო. რაც შეეხება ბურებს, ამ შემთხვევაში ინგლისელებს საოცარი სისასტიკე და მტარვალობა გამოუჩენიათ. მარტო პრეტორიიდგან მათ 1000 სრულიად უდანაშაულო ქალი და ბავშვი განუდევნიათ. სხვა ადგილებში ბურებს უფრო სასტიკად ექცევიან თურმე.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

სამხრეთ აფრიკის ბუნების ერთ საკვირველებათაგანს შეადგენს ერთგვარი ხე, რომელსაც სახელად „საკვირველ კაკალს“ ეძახიან. ეს ხე 15 საჟენის და ხანდისხან მეტის სიმაღლისაც იზრდება. ამ ხის ფოთოლს სიგრძე 3 და 4 საჟენი აქვს, სიგანე—$1^1/_2$ და 2 საჟენი. ხის ნაყოფის დამწიფებისათვის ათი წელიწადია საჭირო. ნაყოფი ანუ კაკალი იწონის 50—65 გირვანქას. ეს ხე წყალში იზრდება.

* * *

წინად უკვე ვწერდით, რომ ამერიკაში ამ ზაფხულს საოცარი სიცხეებია. ამ სიცხეების გამო ამერიკაში ტანისამოსის ახალი მოდა შემოიღეს. ნიუ-იორკისა, ჩიკაგოსა და სხვა დიდის ქალაქების ქუჩებში ეხლა ხშირად შეჰხვდებით თურმე მეტად განიერ შარვალსა და ფერად ხალათში გამოწყობილს მაღალის საზოგადოების კაცებს. ხალათზედ განიერი სარტყელი აქვთ შემორტყმული. ამ ტანისამოსით ამერიკელები მარტო ქუჩებში არ დადიან, ძალიან ხშირად იმათ, ასეთ ტანისამოსში გამოწყობილთ, თეატრსა, დიდს სადილსა და სხვაგანაც შეჰხვდება კაცი. ბევრი მანდილოსანი კიდევ მამაკაცის ტანისამოსს იცვამს თურმე.

* * *

ოპიუმის ხმარებას მარტო ინდოეთსა და ჩინეთში არ მისდევენ; ამ ბოლოს დროს იგი ევროპის ზოგიერთ ქალაქშიაც გავრცელდა, განსაკუთრებით-კი პარიჟში. ამ თორმეტის წლის წინად ერთი პარიჟელი ქალი, ვინმე ასსიმი ჩინელს მისთხოვდა. რამდენსამე ხანს ასსიმი ჩინეთში სცხოვრობდა, შემდეგ ისევ პარიჟში დაბრუნდა და იქ განსაკუთრებული რესტორანი გამართა, სადაც სტუმრები ოპიუმსა სწევენ. მალე ქ-5 ასსიმის რესტორანს დიდ ძალი მუშტარი მიაწყდა, მათ შორის იყვნენ მაღალის საზოგადოების მანდილოსანნი; ახალშენებში მოხელეებად მყოფნი და სხვანი. ვაჭრობა კარგად მიდიოდა, მაგრამ ერთ დღეს პოლიციამდე ამბავი მივიდა, რომ რესტორანში ოპიუმის მოწევის გარდა ათას გვარ სისაძაგლეს სჩადიანო. პარიჟის პოლიციის უფროსმა კომისარმა ამის გამო სამი აგენტი წაიყვანა თან და მოულოდნელად თავს წაადგა რესტორანში მყოფთ. ერთ ოთახში კომისარმა რვა კაცი ჰნახა—მაღალის საზოგადოების მანდილოსანნი და მამაკაცნი. ყველანი დივნებზედ წამოწოლილიყვნენ და ოპიუმის წევით დავიწყებას მისცემოდნენ. პოლიციელთ მაშინვე დააპატიმრეს ყველანი ჩვენების ჩამოსართმევად. დააპატიმრეს აგრეთვე ქ-ნი ასსიმიც. რესტორანში უნახავთ აუარებელი ოპიუმი, ჩიბუხები და სხვა ოპიუმის მოსაწევად საჭირო ნივთები. რესტორანი მეორე დღესვე დაუკეტნიათ.

* * *

როგორ და როდის წარმოსდგა კოცნა? ამის გამოკვლევას შესდგომია იტალიელი მეცნიერი ჩეზარე ლომბროზო. უწინდელს დროში კოცნა არა სცოდნიათ, კოცნა არსად არა აქვს მოხსენებული არც ჰომეროსსა, არც გეზიოდსა და არც სხვას რომელსამე ძველს მწერალს. ჰექტორი არა ჰკოცნის ანდრომახას, როდესაც სამუდამოდ ემშვიდობება; არც პარისი ჰკოცნის ელენეს გამომშვიდობების დროს. ძველ სანსკრიტულ და ეგიპტურ ნაწერებშიაც არსად არ არის მოხსენებული კოცნა. ბევრგან, მაგალითად, იაპონიასა და ჩინეთში ეხლაც არ იციან კოცნა. ყველა ამის გამო ლომბროზოს თეორია იმისა, თუ როგორ წარმოსდგა კოცნა, ცოტა არ იყოს უცნაურია. მეცნიერის აზრით, პირველად კოცნა ცეცხლმფრქვევ მიწის (კუნძულია ამერიკის ბოლოში) მცხოვრებთ მოიგონეს. ამ მცხოვრებთ არავითარი ავეჯეულობა და ჭურჭლეულობა არა ჰქონდათ. წყალს, მაგალითად, ისინი ან მუჭითა სვამდნენ ან კიდევ პირდაპირ დაეწაფებოდნენ ხოლმე. ბავშვებს, რასაკვირველია, არ შეეძლოთ ასე წყლის დალევა. ამიტომ ჯერ დედა გაივსებდა ხოლმე წყლით პირს და შემდეგ, როგორც ჩიტი თავისს ბარტყებს საჭმელს აძლევს, ბავშვს პირში ჩაასხამდა. აი, ლომბროზოს აზრით, ეს ბავშვებისათვის წყლის დალევინება გადაიქცა ბოლოს კოცნად. ჩვენის აზრით, რომაელები უფრო კარგად ჰხსნიდნენ იმას, თუ როგორ წარმოსდგა კოცნა. კოცნა მამაკაცებმა მოიგონეს, ამბობდნენ რომაელები, მხოლოდ იმიტომ, რომ გაეგოთ, ცოლს ხომ არაფერი დაულევიაო.

* * *

ჩინეთში მყოფ მოკავშირეთა ჯარის მთავარ სარდლად დანიშნულს გრაფ ვალდერზეეს მშვენიერი კარავი მოუმზადებია თან წასაღებად. კარავი ასბესტისაგან არის გაკეთებული, მეტად მაგარია, მსუბუქი სახიდად და ამასთან შიგ მყოფს შიში არ მოელის არც სიცხისაგან და არც სიცივისაგან. ფელდმარშალის კარავი შვიდის ოთახისაგან შესდგება: მისაღებ ოთახისა, კაბინეტისა, სასადილოსი, საბანაოსაგან; ამას გარდა ორი ოთახი ადიუტანტებისათვის იქნება და ერთი დიდი ოთახიც მოსამსახურეებისათვის. ამ ოთახების მოსაწყობად გრაფს მრავალი ავეჯეულობა მიაქვს თან, ასე რომ მივარდნილ მანდჟურიაც-კი ფელდ-მარშალი ისე მშვენივრად იცხოვრებს, როგორც ბერლინში საკუთარს სასახლეში.

## საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები

(წერილი: ოგ)

ტყავზედ წერილი ნუსხურად ნაწერი წიგნი № 345 (in octo, ფურც. 266, ზომით 16 ფურც. ქაღალდის, თავს აკლია რამდენიმე ფურცელი) არის სამოციქულო თავის მაჩვენებლებითა და საკითხავებით. ამას მოსდევს წერილი: „ქ. აღსარებაჲ და აღწერაჲ სასწაულთა მართლისა სარწმუნოებისაჲ და წმიდათა კრებათათჳს, რომელთა დაამტკიცეს მართალი სარწმუნოებაჲ, რომელ ესე ჯერ არს ყოველთა ქრისტიანეთათჳს, რათა კეთილად და გამოწვლილვით მეცნიერ იყვნენ.“ ამ განყოფილებაშია ა) „მრწამსი“, ბ) წმიდისა ფოტი პატრიარქისა აღწერილი მოკლედ, კატეხიზისურად კითხვა-მიგებით გამოთქმული სარწმუნოება (230—240), გ) განჩინებაჲ სარწმუნოებისაჲ დიდებულისაჲ იოვანეს მიერ დუქსის მეტყუელისა გამოცხადებაჲ საკჳრველი მოძღურისა გრიგოლის მიმართ, ვითარცა

ჩუაჲშნებითა ღუთის მშჳნებისათა (240—241), დ) მიქაელ სჳნკელისა იაჩუსალემელისა მართლის სარწმუნოებისა წარმოთქუმაჲ, ე) აღსარებაჲ წმიდისა და უბიწოჲს ქრისტეანეთა სარწმუნოებისაჲ, თქუმული წმ. ათანასე ალექსანდრიელისაჲ მუკლ მუკლი, და მისავე ქადაგებისათჳს (247), ვ) ეპისტოლე წმ. ბასილი კესარიელ მთავარ-ეპისკოპოზისაჲ სამოლდიკაის მიმართ სეფე ქალისა მწუხარებითისათჳს მონათა მისთა, რომელთა ეგინა წმიდის ბასილისდა (247), ზ) მცნებაჲ მღვდელთა მიმართ მისავე.

ამ მეგლის მხოლოდ რაოდენიმე ფურცელი უთარგმნია ეფთჳმე თარგმანს, დანაშთენი-კი თარგმნილია გიორგი მთაწმიდელის მიერ.

ფურც. 247: ესე ზემოჲთ მიქელ სჳნკელისა თქუმული სარწმუნოებაჲ ნეტარისა მამისა ჩუენისა ეფთჳმის თარგმნილი არს და სხუაჲ ყოველი წმიდისა გიორგისაგან, ვითა ამას წიგნსა სწერის.

„ზემოჲთ“ კიდე სწერის (ფ. 229):

წმიდანო მამანო, ესე წმიდაჲ წიგნი და ყოვლისა სოფლისა მოძღუარი, მე გლახაკმან გიორგი ხუცეს მონაზონმან ვთარგმანე მთაწმიდას სულიერისა მოძღურისა ჩემისა გიორგის ბრძანებითა და მადლითა, რომელი მყოფარს მთასა საკურველსა. აწ გევედრები ყოველთა ღუთის მოყუარეთა, რათა აჴსენებულ მყვნეთ წმიდათა ლოცვათა თქუენთა მოძღუარნი და მშობელნი ჩუენნი და ყოველნი ძმანი, რათა ღმერთმან თქუენცა სასყიდელი მოგანიჭოს ამინ:—

ეგრეთვე პირველ თარგმნილისა თჳთ წმიდისა და ჩუენისა მამისა გიორგი მთაწმიდელისა ნუსხისა მეორედ გარდმოწერილისაგან დავწერე ესე მესამე, რომლისა ამისა დედასა შინა ეწერა ხარკებით შეწჳმებაჲ და ფრიადი სიმართლე, ვითარცა უთარგმნია პირსა მისსა წმიდასა, წმიდისა სულისა მიერ მიცემულითა მადლითა და შეწევნითა:—

რომელი ესე მისითავე მადლითა აღვწერე სამოძღურებელად და სალხინებელად, საწურთელად და განსანათლებელად დაბნელებულისა სულისა ჩემისა, მე ულირსმან გიორგი, ხუცეს მონაზონმან, ღირსისა და წმიდისა მამათა მამისა გიორგი მთაწმიდელისა თუალით მხილველმან და ჴელით მსახურმან და მოწაფემან ჟამთა მათ ჭირისა და იწროებისათა, დევნულებისა და ტყუეობისათა, ოკრებისა და სიკუდილისათა, ოდეს სრულიად აოკრდა ზეგარდმო სამცხე, თჳნიერ რაჲმე ნეშტთაჲსა, რომელნი სიმაგრეთა შინა დაშთეს, იგიცა სალმობიებენი და ურვეულნი, ქრონიკონსა: ტგ, დასაბამითგან: ხქჲ.

მეორე განყოფილების სათაურს ქვეშე (ფ. 229, მეორე მხარე):

იესო ქრისტე, ადიდე სული წმიდისა მამისა გიორგისი, რომელმან თარგმნა წმიდაჲ ესე წიგნი. საუკუნომცა არს საჴსენებელი მისი.

აღნიშნული ქორონიკონი ტგ უდრის 1083 წ. ფრიად საყურადღებოა ის მცირე ცნობა, რომელსაც გადმოგვცემს „ხუცეს-მონაზონი გიორგი, გიორგი მთაწმიდელის თუალით მხილველი და ჴელით მსახური“ შესახებ სამცხის აოხრებასა, ჭირისა და უბედურებისა.

ეს მცირე ცნობა ერთხელ კიდევ ამხილებს იმას, რომ „ქართლის ცხოვრების“ აკვსონებს თვის მეგლის წყაროში შეუცნობით ჭეშმარიტი ამბები. „ქართლის ცხოვრებას“ ერთი აკვსონთაგანი ტყუილად-კი არ ამბობს ამ სახსოვარ სიტყვებს: „ჟამთა აღმწერელობა ჭეშმარიტის მეტყველება არს და არა თვალხმა ვისმე.“

1080—1083 წლებში საქართველო შემუსრა მალიქშაჰმა, რომელსაც მას ჟამს ეპყრა სპარსეთი და მრავალი ქვეყნები. თურქებმა გიორგი მეფე დაამარცხეს სამცხეში და მოედვნენ მთელს საქართველოს, „ვითარცა მკალნი“. მეფე აფხაზეთს გაიქცა. თურქთ დაიპყრეს სამცხე, კლარჯეთი, შავშეთი, აჭარა, ქართლი, არგვეთი, შუღნდიდი.. „ხოლო თუ ვინმე მთიულეთს ანუ სიმაგრეთა სადამე ვინ დაშთა კაცი, ზამთრისა სიფიცხითა, უსახლკაროთა და შიმშილითა მკრეცა მოისრა, და განგრძელდა ესე ვითარი ჭირი ქრისტიანეთა ზედა“.. (ქ. ცხ., გვ. 237).

ამავე უბედურებას აღნიშნავს აგრეთვე წარწერა ხუცეს მონაზონის გიორგისა.

მ. ჯანაშვილი

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

16 აგვისტო

**პეტერბურგი.** 16 აგვისტოს ხელმწიფე იმპერატორი, დედოფალი იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული, ხელმწიფე მემკვიდრე და დიდნი მთავარნი ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ძე და მიხეილ ნიკოლოოზის ძე ბელოვეჟში წაბრძანდნენ.

**შანხაი.** როგორც ამოიში მყოფ ინგლისის ელჩის მიერ 14 აგვისტოს გამოგზავნილ დეპეშებიდგან სჩანს, იაპონელებმა ზარბაზნები ტაოტაის იამინის პირდაპირ დასდგეს. ტაოტაიმ უკმაყოფილება განაცხადა ჯარის გადმოსხმისათვის, რაიცა ეწინააღმდეგება იმ პირობებს, რომელიც ვიცე-კოროლების მიერ იქმნა დადგენილი. ტაოტაიმ განაცხადა, თუ ჯარი არ წაიყვანეთ, ვერ შევძლებ წესიერების დაცვასაო.

**გონკონგი.** აქ ამბავი მოვიდა, რომ „შავი დროშანი“ ჩრდილოეთ მდინარის ნაპირებზედ მცხოვრებთ დაეცნენო.

**ბელფასტი, 14** აგვისტო. ბურებს ჯერ კიდევ უჭირავთ სიმაღლეები რკინის გზის სამხრეთით, მაგრამ განდევნილ იქმნენ იმ ადგილიდგან, საიდგანაც გუშინ თოფებს ისროდნენ; ხეობებში ჯერ კიდევ იმალებიან ბურების პატარა-პატარა რაზმები; ორის მძიმე ზარბაზნიდგან ბურები ხან-გამოშვებით ესროდნენ ინგლისელების პოზიციას. ბურებმა აიძულეს ინგლისელები თავიანთი ურმები წაეღოთ.

**პეკინი.** რუსეთის სამმა, იაპონიის ორმა, ინგლისისა და ამერიკის ბატალიონებმა გაჩხრიკეს და დაიარეს პეკინის სამხრეთით მდებარე საიმპერატორო ბაღი. წინააღმდეგობა მათთვის არავის გაუწევია. საზაფხულო სასახლეს დღეს იაპონელები დაიჭერენ, საზამთრო სასახლე მოკავშირეთა ჯარმა დაიჭირა. მოკავშირეთა ჯარი სამხრეთით წავიდა, პეკინში ცოტაოდენი ჯარი დასტოვა ჩინელ ქრისტიანეთა დასაცველად.

**გონკონგი.** ბევრმა ჩინელთა სავაჭრო ფირმამ მოსპო ამოიში საქონლის გაგზავნა იმის გამო, რომ იაპონელებმა ამოი დაიჭირეს.

დასავლეთის მდინარით 15 ჯონკით ჩინეთის ჯარი ვუჯოუსაკენ მიდის.

**მილანი.** ბრესსის პროცესი დაიწყო.

**ლონდონი.** რობერტსი დეპეშით იუწყება, რომ ბულლერმა მახადოდორპი დაიჭირაო.

17 აგვისტო.

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორმა ფინანსთა მინისტრს ნება დართო-რა, რომ იგი დროებით საზღვარ-გარედ წავიდეს, სამინისტროს სართავ-გამგეობა ჰბრძანა გარდაეცეს ფინანსთა მინისტრის უფროს ამხანაგს კოკოვცევს.

თურქესტანის გენერალ გუბერნატორი იუწყება 1-ლ აგვისტოდგან, რომ ავღანისტანში ხოლერა სრულებით მოისპოო.

**ლონდონი.** რობერტსი დეპეშით იუწყება 15 აგვისტოს ბელფასტიდგან: „ბულლერმა მაცნობა, რომ ბერგენდალი აიღია. იგი იუწყება, რომ ჯერ დიდი სროლა ჰქონიათ გორაკეზედ და შემდეგ გაბედულის იერიშით აიღია იგი ორს ქვეითა ბატალიონს. ეს ადგილი ბუნებით სიმაგრეს წარმოადგენს, რომელსაც გარშემო 1500 იარდის მანძილზედ სწორი აქვსო; ამ სწორე ადგილზედ ჩასაფრება შეუძლებელი იყოო. ქალაქი იერიშით იქმნა აღებული და ტყვედ 19 ბური დავგრჩაო. ამ გორაკის აღებით საშუალება მოგვეცა ყველა დანარჩენი მაღლობებიც დაგვეჭირა, რომლებიდგანაც მტერმა დაიხიაო. ჩვენის მხრივ მოკლულ იქმნენ ერთი კაპიტანი და 13 ჯარის-კაცი, დაჭრილია 7 ოფიცერი და 57 ჯარის-კაცი; ზარალი უთუოდ მეტი იქმნება, მაგრამ ჯერ დაწვრილებით არ ვიცითო. ბურებს განზრახვა ჰქონდათ სასტიკი წინააღმდეგობა გაეწიათ, მაგრამ შუადღისას მათ შორის ხმა გავრცელდა, რომ იოჰანნესბურგის პოლიციის ჯარი, რომელსაც გორაკის დაცვა ჰქონდა მინდობილი, სრულიად ამოსწყვიტესო; ამის გამო წინააღმდეგობა ვეღარ გაგვიწიეს.

**გლასგო.** ავადმყოფ ოჯახობაში, რომლებიც შავის ჭირისა გამო იქმნენ გაცალკევებულნი, ორი პატარა ქალი და ერთი ბავშვი გახდნენ ავად, მაგრამ ნიშნები საშიში არ არის; თუ რომ კიდევ გახდა ვინმე ავად, სავაჭრო გემებისთვის მაშინვე კარანტინი იქმნება დაწესებული.

**ბერლინი.** გენერალი გეპფნერი იუწყება ტიან-ძინიდგან, რომ ტიანძინიდგან იანცზუნამდე გზა გახსნილია, მაგრამ იანცზუნიდგან პეკინამდე ჯერ კიდევ დიდ ხანს ვერ გაიხსნებაო.

**ბერლინი.** ბურების რწმუნებულნი პეტერბურგიდგან ჩამოვიდნენ.

**ხარკოვი, 16** აგვისტო. მიწათმოქმედების მინისტრი ჩამოვიდა.

**მილანი.** ბრესის სამუდამოდ დაპატიმრება მიუსაჯეს.

**შანხაი.** აქ შეთქმულობა აღმოაჩინეს; შეთქმულებს თურმე განზრახვა ჰქონდათ ქალაქი მთლად გადაეწვათ; ევროპიელ სამხედრო მსახურთ ქალაქიდგან ღამე გარეთ გამოსვლა აღკრძალული აქვთ.

**ჩიფუ.** ამბობენ, გუბერნატორმა შენსიმ უცხოელებს წინადადება მისცა იამინში გადმოდით და მფარველობას გაგიწევთო; ორმოც-და-ათამდე კაცმა მართლა თურმე გაუგონეს ამ რჩევას, მაგრამ ყველა თურმე ამოხოცეს.

პეტერბურგის ბირჟა, 16 აგვისტო.

| | მყიდველისა | | გამყიდველისა | | გაყიდულისა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| 5%-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — | „ | — | „ | $210\frac{1}{2}$ | |
| $3\frac{1}{2}$% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | 88 | „ | — | „ | — | „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | — | „ | $101\frac{1}{2}$ | | — | „ |
| 5% იმავე ბანკისა. | — | „ | $98\frac{1}{2}$ | | — | „ |
| 5% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — | „ | 97 | „ | — | „ |
| $4\frac{1}{2}$% იმავე ბანკისა | — | „ | — | „ | $86\frac{1}{4}$ | |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | — | „ | 98 | | — | „ |
| $4\frac{1}{2}$% იმავე საზოგადოებისა. . . | — | „ | 87 | | — | „ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — | „ | — | „ | 324 | |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი | — | „ | — | „ | 275 | |


# განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობამდე მოაღწია ცნობამ,

რომ ვიღაც უცნობი კაცები ეუბნებიან იმათ, ვისაც ლოტკის-გორასა და „ნაძალადევში“ იჯარით ადგილების აღება ჰსურთ, თუ ფულს მოგვცემთ, ვეცდებით და გამგეობისაგან იჯარით ავიღებთ თქვენთვის მიწასაო... რათა ბოლო მოეღოს გულუბრყვილო ხალხის ამ გვარ ექსპლოატაციას, გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ „ნაძალადევის“ ადგილები არ გაიცემა იჯარით, სანამ არ იქნება შედგენილი მისი საზოგადო გეგმა. ხოლო რაც შეეხება ლოტკის გორას, იქ ადგილები გაიცემა იჯარით საბჭოს მიერ დამტკიცებულ განსაკუთრებულ წესების თანახმად.

ვისაც ჰსურს იჯარით აიღოს ლოტკის-გორაში ადგილები, თუ იგი წარმოადგენს ყველა იმ საბუთებს, რომელიც საბჭოს დადგენილებაშია აღნიშნული, შეუძლიან უშუამდგომლოდ მიჰმართოს თხოვნით ქალაქის გამგეობასა და მიიღოს იჯარა. (3—6.—1)

წინამძღვარიანთ-კარის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლისაგან

პირველ სექტემბრიდამ პირველ ოქტომბრამდე ამა წლისა წინამძღვარიანთ-კარის სასოფლო სამეურნეო სკოლაში მიიღებიან ჯანმრთელი ყმაწვილები, არა ნაკლებ ათის წლისა, ყველა წოდებისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა.

ვისაც სურვილი აქვს სკოლაში ყმაწვილი მიაბაროს, იმან უნდა პირად, ანუ წერილით განუცხადოს თავისი სურვილი სკოლის მმართველს, ანუ მზრუნველს ილია ივანეს ძეს წინამძღვრიშვილს (ნოტარიუსი ქალაქ ტფილისში), წარმოადგინოს ყმაწვილის წლოვანების მოწმობა, სინოდის კანტორიდგან მიღებული, ან მღვდლისაგან მიცემული ამოწერილობა წლოვანების წიგნიდგან, და იმ სკოლის მოწმობა, სადაც ბავშვს უწინ უსწავლია. გამოცდა ყმაწვილებისა მოსამზადებელ კლასის პირველ განყოფილებაში არ იქნება. მხოლოდ ვინც მოსამზადებელ კლასის დანარჩენ განყოფილებაში შესვლას მოინდომებს, იმას უნდა ჰქონდეს შესაფერი მომზადება და სწავლა.

სასწავლო სკოლის კურსს შეადგენს; 1) საღმრთო წერილი, 2) ქართული და რუსული ენები, 3) არითმეტიკა და პრაქტიკული გეომეტრია, 4) სამშობლოს შესწავლა, მოკლე გეოგრაფია რუსეთისა და საზოგადო მიმოხილვა ქვეყნებისა, 5) ბუნების მეცნიერება, 6) სამეურნეო საგნები: მიწის შემუშავება, მებაღობა, მებოსტნობა, ვაზის მოვლა-მოშენება, ღვინის დაყენება, საქონლისა და აბრეშუმის ჭიის მოვლა-მოშენება, მეფუტკრეობა და სასოფლო მეურნეობის ანგარიშის ცოდნა, 7) ხატვა, 8) საეკლესიო და საერო გალობა, 9) სწავლა ხელოსნობისა: დურგლობისა, მჭედლობისა და ჩილინგრობისა (სლესარობისა).

სკოლაში ყმაწვილები უსასყიდლოდ მიიღებენ სწავლას და ყველა სასწავლო ნივთებს, მხოლოდ დედმამამ, ანუ იმათმა მოადგილემ უნდა ყმაწვილს სოფელში ბინა უშოვოს, ჩააცვას და დახუროს.

შორის მხრიდგან მოყვანილ ყმაწვილებისათვის სოფ. წინამძღვარიანთ-კარში გამართულია სკოლის ხარჯით 30 შეგირდისათვის სადგური. ყველა საქმეს ამ სადგურისას თვით სკოლის კრება განაგებს. თითო შეგირდის შესანახავად დანიშნულია თვეში შვიდი მანეთი. ყმაწვილს დილა-საღამოს მიეცემა სტაქანი ჩაი, ანუ რძე პურით და სწავლის შემდეგ სადილი, ორი კერძი: ხსნილში სახსნილო და მარხვაში სამარხვო. კვირაში ერთხელ ყმაწვილებს საცვალი გამოეცვლებათ.

ვისაც სურს მიაბაროს ყმაწვილი სკოლის სადგურში, იმან უნდა წარმოადგინოს წინათ მთელი წლის შესანახი ფული 84 მანეთი; უკეთუ შეგირდი წლის შესრულებამდე სადგურიდგან გავიდა, მაშინ ეს ფული უკან იმათ დედ მამას აღარ დაუბრუნდებათ და დარჩება სადგურის სასარგებლოდ.

ყმაწვილს უნდა ჰქონდეს რკინის საწოლი, ქვეშაგები, ექვსი ხელი საცვალი, პირსახოცები, ბალიშის პირები, ზეწრები და სამი ხელი სკოლისათვის დაწესებული ტანსაცმელი: ერთი საზამთრო და ორი საზაფხულო.

გამოვიდა ახალი წიგნები:

ა) **უკვდავთა ლოცვანი** ფასი: ყდით 20 კაპ., უყდოთ 15 კ.

ბ) **ქართული მწერლობა** XI—X საუკუნემდე, ფასი 40 კაპ.

გ) **Царица Тамара**, ფასი 50 კ.

დ) **Груз. обители внѣ Грузіи**, ფ. 25 კ.

ე) **Истор. груз. церкви**, ფ. 40 კ.


Дозволено цензурою. Тифлисъ, 16-го Августъ 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. დროებითი რედაქტორი ვ. ა. სულხანიშვილი. გამომცემელი ილია ჭავჭავაძე